

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის სამართლებრივი
მექანიზმები

ნათელა კოსტერს-მესტიაშვილი

*სამეცნიერო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან გიგუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი.

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ წარმოადგენს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, დამოწმებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა კოსტერს-მესტიაშვილი

თბილისი, 2020 წელი.

აბსტრაქტი

შესავალი: ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა თავისი ქმედებისა და შედეგის უკიდურესად დამაზიანებელი ხასიათის გამო, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს როგორც ქართული, ასევე მრავალი ქვეყნის სამართლის სისტემისათვის.

მიზანი: ბავშვების ვიქტიმიზაციის გამომწვევი მიზეზების დასათრგუნად მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის პრევენციის ეფექტური მექანიზმების შემუშავება. სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლა არ წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებას. შესაბამისად ამისა, საზოგადოებაში არსებული სტიგმა, დანაშაულის დაფარვისა, მორალურ-ზნეობრივი კუთხით აქტიურ გადახალისებას საჭიროებს მისგან გამომწვეული შედეგის, დანაშაულის ლატენტურობის, თავიდან ასაცილებლად.

მეთოდ(ებ)ი: ნაშრომში განხილული იქნება დანაშაულის გამომწვევი სისხლისსამართლებრივი და მორალურ-ზნეობრივი მიზეზები. სხვადასხვა სტატისტიკისა და კვლევების მიხედვით გამოკვეთულ იქნება დამნაშავისა და მსხვერპლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს დანაშაულის აღმოფხვრისა და ზოგადი პრევენციის ზუსტი მიგნებების რეალიზებას.

შედეგები: იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მთავარ სიკეთეს ადამიანი წარმოადგენს, ბუნდოვანია რატომ არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა უფლებების, ცალკე, კონსტიტუციურ ჭრილში მოქცევა. ამავდროულად საერთაშორისო ნორმების ჰარმონიზება მხოლოდ ნაწილობრივ და ეტაპობრივად ხდება. რაც ხელს უშლის კანონისა და ნორმის ფართოდ გამოყენებას. ნაშრომში ასახული ნორმათა ხარვეზები ცხადყოფს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის მიმართულეებით კანონშემოქმედებითობის ინოვაციურ, ფართო და სიღრმისეულ აუცილებლობას.

შეჯამება: სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ბავშვებისთვის გარანტირებულად უსაფრთხო გარემოს შექმნა განპირობებულია მასთან კავშირში მყოფი პირებისა და დაწესებულებების ზედამხედველობისა და კონტროლის გზით.

საკვანძო სიტყვები: ბავშვების ვიქტიმიზაცია; ნორმის ხარვეზი; სტიგმა; დაცული გარემო.

Abstract

Introduction: Sexual violence against children, due to its extremely damaging nature of actions and consequences, is a crucial challenge for both the Georgian and many other countries' legal systems.

Objective: In order to suppress and prevent the causes of child victimization, it is important to develop effective mechanisms for the prevention of sexual violence. The fight against sexual misconduct is not only the government's obligation. Accordingly, the stigma in the society, related to covering up the crime, needs to be actively renewed in order to prevent the result and the latent nature of the crime caused by it.

Methodology (s): The paper discusses the criminal and moral causes of crime. According to various statistics and studies, the socio-psychological factors of the culprit and the victim will be identified, which will ultimately help to realize the needed steps to eliminate the crime and find its general prevention.

Outcomes: Considering that the main merit of the state is an individual, it is unclear why the government does not treat children's rights in a separate, constitutional scope. At the same time, international norms are harmonized only partially and gradually, which prevents the widespread execution of law and order. The shortcomings of the norms reflected in the paper demonstrate the need and necessity for innovative, broad and in-depth legislation on child sexual abuse.

Conclusion: Analysis of case law has shown that the creation of a safe environment for children is ensured through the supervision and control of the individuals and institutions associated with them.

Keywords: child victimization; norm deficiency; stigma; A safe environment;